



საავტორო უფლების დაცვა



# ს ა რ ჩ ი ვ ი

საავტორო უფლება .....	2
ავტორი, საავტორო უფლების მფლობელი .....	2
საავტორო უფლების წარმოშობა .....	6
საავტორო უფლების ობიექტები .....	8
საავტორო ქონებრივი უფლებები .....	16
საავტორო ქონებრივი უფლება სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე ---	21
ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები .....	24
საავტორო უფლების მოქმედების ვადები .....	27
საავტორო ჰონორარის უფლება .....	28
საავტორო უფლებების ინდივიდუალური და კოლექტიური მართვა .....	33
საავტორო უფლებების დარღვევა, პასუხისმგებლობა .....	42
კოლექტიური მართვის ორგანიზაციის როლი საავტორო უფლებების დაცვისას .....	46
მარეგულირებელი აქტები .....	50



**GEORGIAN  
COPYRIGHT  
ASSOCIATION**  
COLLECTIVE MANAGEMENT ORGANIZATION



**giz** German Intellectual  
Property Rights  
Administration

თბილისი 2013

## საავტორო უფლება

საავტორო უფლება არის უფლება, რომელიც წარმოიშობა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე. საავტორო უფლება შედგება საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებისგან.

## ავტორი, საავტორო უფლების მფლობელი

ავტორი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები. მაგალითად კომპოზიტორი, პოეტი და სხვა.

ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად. ასეთ შემთხვევაში მის შემქმნელებს



საავტორო უფლება წარმოეშობათ თანაბრად და ისინი ხდებიან თანაავტორები. ნაწარმოების გამოყენება რეგულირდება თანაავტორთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

საავტორო უფლების მფლობელი, გარდა ავტორისა, ასევე შეიძლება იყოს სხვა ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელმაც მემკვიდრეობით ან ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო ეს უფლება. მოცემულ შემთხვევაში ხდება ავტორის მიერ საკუთარი უფლებების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა ან ამ უფლებების მემკვიდრეობით მიღება და იგი ეხება მხოლოდ საავტორო ქონებრივ უფლებებს.

საავტორო უფლების მფლობელები ასევე არიან შედგენილი და გადამუშავებული ნაწარმოების ავტორები და გამომცემლები. შედგენილი და გადამუშავებული ნაწარმოებების ავტორებს ეკისრებათ ვალდებულება

დაიცვან თავდაპირველი ნაწარმოებების ავტორების  
საავტორო უფლება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ავტორი  
შეიძლება იყოს:

მუსიკალური ნაწარმოების ავტორი - კომპოზიტორი,  
არანაწირობის ავტორი, ტექსტის ავტორი

ლიტერატურული ნაწარმოების (პოემა, ლექსი,  
მოთხრობა, ნოველა და სხვა) ავტორი და/ან მთარგმნელი

მეცნიერების ნაწარმოების (სამეცნიერო კვლევები,  
სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები და სხვა) ავტორი  
და/ან მთარგმნელი

პროდიუსერი, რეჟისორი, სცენარის ავტორი და  
კინემატოგრაფიული ნაწარმოების სხვა ავტორი



დრამატურგი და თეატრალური ხელოვნების  
ნაწარმოების სხვა ავტორი

მხატვარი, ფოტოგრაფი და სახვითი ხელოვნების  
ნაწარმოების სხვა ავტორი

არქიტექტორი, მოქანდაკე, დიზაინერი და  
არქიტექტურულ-მონუმენტური ნაწარმოების სხვა ავტორი

კომპიუტერული პროგრამების და მონაცემთა ბაზების  
ავტორი

სხვა ნებისმიერი ინტელექტუალურ შემოქმედებითი  
საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოების ავტორი.

## საავტორო უფლების წარმოშობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნის მომენტიდან. ნაწარმოები შექმნილად ითვლება, როდესაც იგი გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით (ხელნაწერი ან ნაბეჭდი ტექსტი, მუსიკალური ჩანაწერი და სხვა) და შესაძლებელია მისი აღქმა და რეპროდუცირება (ასლის შექმნა)

საავტორო უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის არ არის აუცილებელი ნაწარმოების რეგისტრაცია, სპეციალური გაფორმება ან სხვა ფორმალობათა დაცვა. თუმცა, სხვა ქვეყნების მსგავსად, ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს



ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, საქპატენტში, ნაწარმოების დეპონირებას. დეპონირება ხორციელდება ნებაყოფლობით, რა დროსაც ავტორი საქპატენტს წარუდგენს ნაწარმოების ორიგინალს ან ასლს, რომელზეც მიეთითება ავტორის სახელი და დეპონირების თარიღი. დეპონირების შედეგად გაიცემა მოწმობა, რომელიც არ წარმოშობს საავტორო უფლებას, არამედ, მხოლოდ ადასტურებს საქპატენტში წარდგენის თარიღისათვის ნაწარმოების ობიექტური ფორმით არსებობის ფაქტს. საჭიროების შემთხვევაში, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობების დარეგულირებისას, აღნიშნული მოწმობა იწვევს ავტორობის პრეზუმფციას, კერძოდ, ავტორის მითითება მოწმობაზე გულისხმობს, რომ სწორედ აღნიშნული პირია ნაწარმოების ავტორი, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს ნაწარმოების გამოცემისას ასევე აქვს შესაძლებლობა მოითხოვოს და გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისგან:

1. ლათინური ასო C წრეწირში: ©
2. განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება)
3. ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

## საავტორო უფლების მუხიძეხეხი

საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა იმ ნაწარმოებზე, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა,



მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა, რაც გულისხმობს, რომ ნაწარმოების გამოცემა ან გამოქვეყნება არ არის სავალდებულო ნაწარმოებზე საავტორო უფლებების წარმოშობისათვის.

სავტორო უფლება ვრცელდება ინტელექტუალურშემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილ ყველა ნაწარმოებზე განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლების ობიექტებია:

1. ლიტერატურული ნაწარმოები

მოთხრობა

ლექსი

პოემა

ნოველა

სტატია

სხვა.

2. ხელოვნების ნაწარმოები

მუსიკალური ნაწარმოები (ტექსტით ან უტექსტოდ)

ქორეოგრაფიული ნაწარმოები

დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები

აუდიოვიზუალური ნაწარმოები



სახვითი ხელოვნების ნაწარმოები (სკულპტურა, ფერწერა, გრაფიკა, ლითოგრაფია და სხვა) თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები ფოტოგრაფიული ნაწარმოები არქიტექტურული ნაწარმოები სხვა.

### 3. მეცნიერების ნაწარმოები

რუკა

გეგმა

ესკიზი

კომპიუტერული პროგრამა

დისერტაცია

სხვა.

საავტორო უფლების ობიექტს ასევე წარმოადგენს  
გადამუშავებული და შედგენილი ნაწარმოები,  
როგორცაა:

### 1. გადამუშავებული ნაწარმოები

თარგმანი

მხატვრული ნაწარმოების პწკარედი

ადაპტაცია

ეკრანიზაცია

მიმოხილვა

ინსცენირება

კომპილაცია

მუსიკალური არანჟირება

სხვა.



## 2. შედგენილი ნაწარმოები

კრებული

ენციკლოპედია

ანთოლოგია

მონაცემთა ბაზა

სხვა.

გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად, მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარება ან შეიცავს ეს ნაწარმოები. მაგალითად თუ ავტორმა განახორციელა საავტორო უფლებებით დაუცველი ნაწარმოების გადამუშავება, გადამუშავებული ნაწარმოები დაცული იქნება საავტორო უფლებით მიუხედავად იმისა, რომ

ნაწარმოები რომელსაც ემყარება ეს ნაწარმოები არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს.

საქართველოს კანონმდებლობა, სხვა ქვეყნების მსგავსად ადგენს გამონაკლისებს რაზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება და რაც არ წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს.

საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში. მაგალითად, რომელიმე არსებული სცენარის იდეის საფუძველზე ახალი ნაწარმოების (ფილმი, სპექტაკლი, მოთხრობა და სხვა) შექმნა არ გამოიწვევს სცენარის ავტორის საავტორო



უფლების დარღვევას. ასევე, ჟურნალისტების მიერ ერთიდაიგივე ფაქტის გაშუქება არ გამოიწვევს ამ ფაქტის აღმომჩენის საავტორო უფლების დარღვევას.

საავტორო უფლება ასევე არ ვრცელდება:

სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე - ჰიმნი, დროშა, გერბი, ჯილდო, ფულის ნიშნები

ოფიციალურ დოკუმენტებზე - კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები

სახელმწიფოს ოფიციალური სიმბოლოებისა და დოკუმენტების თარგმანზე

ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

## საავტორო ქონებრივი უფლებები

ავტორის საავტორო ქონებრივ უფლებას წარმოადგენს საავტორო ჰონორარის მიღების უფლება და განსაკუთრებული უფლება განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენება, კერძოდ:

საჯარო გადაცემის უფლება - ნაწარმოების ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და სხვა მსგავსი საშუალებით გადაცემა

საჯარო შესრულების უფლება - ნაწარმოების შესრულება ცოცხლად ან ჩანაწერის საშუალებით, მაგალითად ნაწარმოების შესრულება რესტორანში, სასტუმროში, კონცერტებზე და სხვა



საჯარო ჩვენების უფლება - ნაწარმოების უშუალოდ  
ეკრანზე დემონსტრირება

რეპროდუცირების უფლება - ხმის ან ვიდეოჩანაწერის  
სახით ნაწარმოების მთლიანი ვერსიის ან ნაწილის  
ასლის დამზადება, მაგალითად მუსიკალური  
ნაწარმოების კომპაქტდისკზე ჩაწერა

რეპროგრაფიული გამრავლების უფლება -  
წერილობითი ან გრაფიკული ნაწარმოების  
ფაქსიმილური რეპროდუცირება, რაც გულისხმობს  
წიგნის ასლის გადაღებას და სხვა

გავრცელების უფლება - ნაწარმოების ორიგინალის ან  
ასლის გავრცელება, გაყიდვის ან სხვაგვარად  
გადაცემის გზით. გავრცელებად ჩაითვლება მაგალითად  
წიგნის ასლის გაყიდვა ან გაჩუქება

იმპორტის უფლება - ნაწარმოების საზღვარგარეთ  
გავრცელება გაყიდვის ან გაჭირავების გზით

გადამუშავების უფლება - ერთი ან რამდენიმე  
ნაწარმოების გადამუშავების შედეგად ახალი  
ნაწარმოების შექმნა

სხვა

საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელი  
შესაძლებელია იყოს არამართო ავტორი, არამედ  
სხვა ნებისმიერი ის ფიზიკური ან იურიდიული პირი,  
რომელიც კანონის და/ან ხელშეკრულების საფუძველზე  
მიიღებს საავტორო ქონებრივ უფლებებს.

ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის  
ბერნის კონვენცია იცნობს ხელოვნების ნაწარმოებებსა  
და ხელნაწერებზე ავტორთა წილობრივი



მონაწილეობის განსაკუთრებულ უფლებას (Droit de Suit). აღნიშნული გულისხმობს ხელოვნების ნაწარმოებებისა და ხელნაწერების პირველადი გაყიდვის შემდგომ, მათი ყოველი გაყიდვიდან შესაბამისი წილის მიღების უფლებას ავტორის მიერ. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონიც ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ უფლებას, თუმცა, იმ პირობით, რომ ავტორს ან მემკვიდრეს "წილობრივი მონაწილეობის უფლება" აქვს ნაწარმოების მხოლოდ საჯარო (აუქციონის, სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის, მაღაზიის ან სხვა საშუალებით) გაყიდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ჰონორარის ოდენობა კი განისაზღვრება გადახდილი საფასურის 5%-ით. ასევე ამ უფლების გასხვისება დაუშვებელია ავტორის სიცოცხლეში და იგი კანონით ან ანდერძით გადადის მხოლოდ მემკვიდრეებზე. წილობრივი მონაწილეობის უფლება შეზღუდულია დროში და მოქმედებს საავტორო უფლების მოქმედების ვადით.

წილობრივი მონაწილეობის უფლება, როგორც წესი, ეხება ხელოვნების ორიგინალურ ნაწარმოებებს. ზოგ სახელმწიფოში (მაგ.: ნიდერლანდებში, ბრაზილიაში, პორტუგალიასა და ურუგვაიში) კი იგი ეხება ხელნაწერებსაც. წილობრივი მონაწილეობის უფლება გათვალისწინებულია ნებისმიერი გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ამ უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ნაწარმოების საჯაროდ გაყიდვის დროს. ამის საფუძველია ის, რომ უფლების რეალიზაცია შეზღუდულია იმ ქვეყნების კანონმდებლობების თავისებურებებით, სადაც გაყიდვის ფაქტებს აქვს ადგილი. მუსიკალური და ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორებს შესაძლებლობა აქვთ მრავალმხრივ გამოიყენონ (ჩაწერონ, საჯაროდ შეასრულონ, ეთერით გადასცენ, გამოაქვეყნონ და სხვა) თავიანთი ქმნილებები, ორიგინალური ნაწარმოებების (გრაფიკის, ფერწერის, ქანდაკების) ავტორები კი,



პირიქით, საკმაოდ შეზღუდულები არიან მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება თავიანთი ნაწარმოებების გამოყენებიდან. პრაქტიკულად წილობრივი მონაწილეობის უფლება არის განსაკუთრებული უფლების - სამართლიანი გასამრჯელოს მიღების - შემსუბუქებული ფორმა

## საავტორო ძონებრივი უფლება სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე

სამსახურებრივ და შეკვეთით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემის საკითხი ხშირ შემთხვევაში სადაო ხდება.

აღნიშნულ ურთიერთობებს საქართველოს ტერიტორიაზე არეგულირებს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი. კანონის თანახმად, მსგავსი საკითხების

რეგულირებისას გადამწყვეტია დამსაქმებელს/  
შემკვეთსა და დასაქმებულს/შემსრულებელს/  
ავტორს შორის დადებული ხელშეკრულების ფორმა.  
საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არსებობს  
ხელშეკრულების (გარიგების) ორი ფორმა: ზეპირი და  
წერილობითი.

დამსაქმებელსა და ავტორს შორის წერილობითი  
ხელშეკრულების შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება  
პირდაპირ არ განსაზღვრავს დაკვეთით და/ან  
სამსახურებრივი მოვალეობისას შექმნილ ნაწარმოებზე  
საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემის საკითხს,  
ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო  
ქონებრივი უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს.

ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში საავტორო  
ქონებრივი უფლებები ეკუთვნის ავტორს. საავტორო  
უფლებების გადაცემისას, კანონი მოითხოვს მხარეებს  
შორის წერილობითი ხელშეკრულების არსებობას



და აღნიშნული ფორმის არარსებობის შემთხვევაში ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები გადაცემულად არ ითვლება. იქიდან გამომდინარე, რომ "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი განსაზღვრავს საავტორო უფლებების გადაცემის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის სავალდებულოობას, აღნიშნული ურთიერთობებისას მხოლოდ ფორმის დაცვით დადებული გარიგებამ შეიძლება წარმოშვას მხარეთა უფლება-მოვალეობები, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ბათილია კანონით გათვალისწინებული, აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული ყველა გარიგება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების დროს ნაწარმოებზე საავტორო ქონებრივი უფლებები გადაეცემა დამსაქმებელს/შემკვეთს, ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში კი დასაქმებულს/შემსრულებელს/ავტორს.

## ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები

ავტორს გააჩნია შემდეგი პირადი არაქონებრივი უფლებები:

აღიარებულ იქნას ნაწარმოების ავტორად და მოითხოვოს ასეთი აღიარება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე. ეს დათქმა ანიჭებს ავტორს უფლებამოსილებას მოსთხოვოს ნებისმიერ მოსარგებლეს ნაწარმოების ყველა ეგზემპლარზე მისი სახელის მითითება, ასევე ნაწარმოების საჯაროდ შესრულებისას, რაიმე ობიექტური ფორმით მისი ავტორობის აღნიშვნა მიუთითოს ფსევდონიმი სახელის ნაცვლად და მოითხოვოს ასეთი მითითება ან უარი თქვას სახელის აღნიშვნაზე. ავტორი თავად წყვეტს რა ფორმით გახდება იგი საზოგადოებისთვის ცნობილი, საკუთარი სახელით თუ ფსევდონიმით. ასევე ავტორს შეუძლია ანონიმურად



გამოაქვეყნოს ნაწარმოები. ამ შემთხვევაშიც, ავტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ან აკრძალოს ყველა ეგზემპლარზე ფსევდონიმის მითითება. გადაწყვიტოს, როდის, სად და რა ფორმით გახადოს ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. ავტორის სურვილზეა დამოკიდებული ნაწარმოებს შექმნისთანავე გახდის ცნობილს, თუ უფრო მოგვიანებით. ასევე მისი გადასაწყვეტია რა ფორმით გახდის ცნობილს ნაწარმოებს, იქნება ეს სატელევიზიო თუ სხვა საშუალება

ნება დართოს სხვა პირებს, შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ასევე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე, წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას

დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება

შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. ავტორის ნებართვის გარეშე შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლებელია დაამახინჯოს ნაწარმოები, ან შეეხოს ისეთ საკითხებს, რომელიც ლახავს ავტორის პატივსა და ღირსებას

ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა)

მოითხოვოს ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა (ნაწარმოების გამოხმობის უფლება). ამ შემთხვევაში ავტორი ვალდებულია საჯაროდ განაცხადოს გამოხმობის შესახებ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება არ ვრცელდება სამსახურებრივ ნაწარმოებზე.



## საავტორო უფლების მოქმედების ვადები

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება უვადოდ.

საავტორო ქონებრივი უფლებები მოქმედებს ავტორის მთელი სიცოცხლის მანძილზე და მისი გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებს ჰყავს ერთზე მეტი ავტორი, საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ათვლა იწყება უკანასკნელი ავტორის გარდაცვალების დღიდან. საავტორო უფლება ნაწარმოებზე, რომლის გამოცემა ან საჯარო გაცნობა მოხდა ფსევდონიმით ან ანონიმურად, მოქმედებს ამ ფაქტის მართლზომიერად დადგომის თარიღიდან 70 წლის განმავლობაში.

საავტორო ქონებრივი უფლებების ვადის ათვლა იწყება იმ წელიწადის შემდგომი წლის პირველი

იანვრიდან, როდესაც ავტორი გარდაიცვალა.  
საავტორო უფლებების მოქმედების ვადის ამოწურვის  
შემდეგ, ნებისმიერ პირს, ყოველგვარი ნებართვისა და  
საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე შეუძლია  
ნაწარმოების გამოყენება.

### საავტორო ჰონორარის უფლება

ავტორი უფლებამოსილია ნაწარმოების ნებისმიერი  
სახით გამოყენებისათვის მიიღოს საავტორო  
ჰონორარი მოსარგებლისაგან. საავტორო უფლებებით  
მოსარგებლე არის ნებისმიერი ფიზიკური ან  
იურიდიული პირი, რომელიც იყენებს საავტორო  
უფლებით დაცულ ნაწარმოებებს და აღნიშნულით,  
პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით იღებს  
სარგებელს.

კანონი ავტორს უტოვებს შესაძლებლობას არ



ისარგებლოს ამ უფლებით და ნება დართოს სხვა პირებს უსასყიდლოდ (ჰონორარის გადახდის გარეშე) გამოიყენონ მისი ნაწარმოებები.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საავტორო უფლებებით სარგებლობისას არსებული გამონაკლისი, კერძოდ: თუ მოსარგებლე იყენებს საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებს და მას აქვს პირადი სარგებლობის მიზანი, არ არის საჭირო ავტორის თანხმობა და მოსარგებლე თავისუფლდება საავტორო ჰონორარის გადახდისაგან, თუმცა ეს გამონაკლისი არ მოქმედებს შემდეგ შემთხვევებში:

არქიტექტურული ნაწარმოების ნაგებობის ფორმით ასლის დამზადების დროს

წიგნების (სრულად), ნოტების და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოასლების შექმნის დროს

აუდიოვიზუალური ნაწარმოების, ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირების დროს.

მოსარგებლეს ასევე შეუძლია ავტორის ნებართვისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე გამოიყენოს ნაწარმოები შემდეგ შემთხვევებში:

გამოქვეყნებული ნაწარმოებებიდან სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის ციტირების ან ილუსტრირების დროს. მაგალითად დასაშვებია გამოქვეყნებული ნაწარმოების სადისერტაციო ნაშრომში გამოყენება ციტირების მიზნით, წყაროს და ავტორის მითითებით. ასევე გამოყენებული ნაწარმოები უნდა ამართლებდეს ციტირების და ილუსტრაციის მიზანს და არ უნდა მოხდეს მთლიანი ნაწარმოების უცვლელი სახით გადატანა, მოსარგებლეს აგრეთვე



შეუძლია ჟურნალ-გაზეთების მიერ მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე გამოქვეყნებული სტატიების გამოყენებაც. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სტატიის ავტორს სპეციალურად ჰქონდეს აკრძალული მისი ნაწარმოების გამოყენება

მაუწყებლობების ორგანიზაციების მიერ, მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების ასლის დამზადების და/ან საჯარო გადაცემის დროს, რომელიც ემსახურება საინფორმაციო მიზანს და გამოყენებულია ამ მიზნისთვის შესაბამისი მოცულობით

ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების, აგრეთვე მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების, მათ შორის,

სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვების, გამოყენების დროს, მხოლოდ იმ მოცულობით, რაც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით

მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური, წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირების დროს მოგების მიღების მიზნის გარეშე, გარდა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი გამოყენების ასეთი საშუალებებისათვის.

მოცემულ შემთხვევებში აუცილებელია მითითებული იყოს წყარო, საიდანაც უშუალოდ გამოყენებულია ნაწარმოები და მითითებული იყოს ავტორის სახელი/ფსევდონიმი.



## საავტორო უფლებების ინდივიდუალური და კოლექტიური მართვა

საავტორო უფლებების მართვა (განკარგვა) ფართო გაგებით გულისხმობს მოსარგებლისათვის ნაწარმოების გამოყენებაზე ნებართვის (ლიცენზიის) გაცემას, საავტორო ჰონორარის შეგროვებასა და ნაწარმოების გამოყენების კონტროლს. ავტორმა შესაძლოა მართოს და დაიცვას საკუთარი უფლებები როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით.

ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს შეუძლია ინდივიდუალურად (თავად) გასცეს ნებართვა მისი ნაწარმოების გამოყენებაზე, როგორც განსაკუთრებული (ექსკლუზიური), ისე ჩვეულებრივი სალიცენზიო ხელშეკრულების ფორმით. ორივე სახის ნებართვა უნდა გაიცეს წერილობით, სადაც დეტალურად

იქნება განსაზღვრული სანებართვო პირობები (ვადა, ფასი და სხვა) ჩვეულებრივი სალიცენზიო შეთანხმების შემთხვევაში, ავტორი აძლევს უფლებას მოსარგებლეს გამოიყენოს ნაწარმოები შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით და ამავდროულად ინარჩუნებს უფლებას გასცეს ასეთივე ნებართვა სხვა პირებს. ექსკლუზიური ლიცენზიის შემთხვევაში კი ავტორი ანიჭებს სხვა პირს (მოსარგებლეს) განსაკუთრებულ უფლებას გამოიყენოს მისი ნაწარმოები და ავტორი თავად კარგავს ამავე ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებით ახალი ნებართვის სხვა პირებსზე გაცემის უფლებას. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუკრძალოს ნაწარმოების გამოყენება არა მხოლოდ მესამე პირებს, არამედ თავად ავტორსაც. ავტორი/საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია თავისი საავტორო უფლება ყოველ კონკრეტულ ნაწარმოებზე გაასხვისოს



სრულად ან ნაწილობრივ, როგორც სასყიდლიანი, ასევე უსასყიდლო ფორმით, უვადოდ ან განსაზღვრული ვადით.

ავტორებს/საავტორო უფლების მფლობელებს შეუძლიათ მართონ და დაიცვან საავტორო ქონებრივი უფლებები კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მეშვეობით. კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მართავს მხოლოდ საავტორო ქონებრივ უფლებებს. საავტორო უფლებების ინდივიდუალურად მართვა საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, ვინაიდან, ერთი მხრივ ავტორის/საავტორო უფლების მფლობელისთვის რთულია არამარტო ქვეყნის საზღვრებს გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც კი გასცეს ყველა ცალკეულ მოსარგებლეზე ნებართვა და აკონტროლოს მისი კუთვნილი ნაწარმოებების გამოყენების კანონიერება, ხოლო მეორე მხრივ, ეს სირთულეს წარმოადგენს მოსარგებლეებისთვისაც,

ვინაიდან მათ მოუწევთ თითოეულ ავტორთან/ საავტორო უფლების მფლობელთან ინდივიდუალური სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება, რაც არათანაზომიერ მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსს საჭიროებს. ამ სირთულემ გამოიწვია აუცილებლობა შექმნილიყო კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიური წესით მართავს და იცავს საავტორო ქონებრივ უფლებებს და აადვილებს ავტორს/საავტორო უფლების მფლობელსა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობას.

საზღვარგარეთის ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც არსებობს კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია. ასოციაცია შექმნილია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა მიერ. ასოციაციას საქართველოს



იუსტიციის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სპეციალური სტატუსი და იგი ამ სტატუსის მქონე ერთადერთი ორგანიზაციაა ქვეყანაში.

ასოციაციის მთავარ ფუნქციას საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა წარმოადგენს, რა მიზნითაც იგი:

წარმოადგენს და იცავს საავტორო უფლებათა მფლობელების ინტერესებს

საავტორო უფლების მფლობელთა მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე ადგენს საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გამოყენების სატარიფო განაკვეთებს

გაცემს ნებართვებს (ლიცენზიებს) საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო უფლებით დაცული ობიექტების გამოყენებისთვის

აგროვებს საავტორო უფლებათა მფლობელების კუთვნილ ჰონორარებს და ანაწილებს მათ

აწარმოებს საავტორო უფლებებით დაცული ობიექტების გამოყენების (სარგებლობის) მონიტორინგს

ებრძვის საავტორო უფლებებით დაცული ობიექტების უნებართვოდ გამოყენებას

უცხოეთის ქვეყნების მსგავს ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ავტორებისა და საავტორო უფლებათა მფლობელების ქონებრივი



უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვას. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე წარმოადგენს და იცავს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის, სამ მილიონზე მეტ ავტორსა და საავტორო უფლების მფლობელს. თავის მხრივ, ამავე ხელშეკრულებების საფუძველზე, საზღვარგარეთ არსებული, მსგავსი მანდატის მქონე ორგანიზაციების მიერ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში უზრუნველყოფილია ასოციაციის წევრების საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვა. საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია უზრუნველყოფს ქართველი ავტორებისა და მათი რეპერტუარის რეგისტრაციას ერთიან საერთაშორისო ბაზებში, რომლითაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ჰონორარების შეგროვებისა და განაწილების დროს.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მრავალწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნულს მინიმუმამდე დაჰყავს ასოციაციის წევრების უფლებების დარღვევის ფაქტები საზღვარგარეთ. უცხოეთის კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მიერ შეგროვებული საავტორო ჰონორარები იგზავნება საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს ჰონორარის განაწილებას შესაბამისი უფლებამფლობელებისათვის.

საავტორო უფლებათა ასოციაცია არის სამი საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციის წევრი: ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC), მექანიკურ უფლებათა დაცვის საზოგადოებების წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციის (BIEM) და რეპროდუცირების უფლების მქონე ორგანიზაციების



საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO). ქოლგა ორგანიზაციები ადგენენ წევრი ასოციაციებისათვის საქმიანობის სტანდარტებს. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მნიშვნელობას და საერთაშორისო დონეზე აღიარებას.

ასოციაცია საავტორო ქონებრივ უფლებებს მართავს საავტორო უფლების მფლობელთა სახელით. ასოციაცია უფლებამოსილია სამართავად გადაცემული საავტორო უფლებების მართვისას გაწეული ხარჯების ანაზღაურებისათვის ჰონორარიდან გამოქვითოს მის შეგროვებაზე, განაწილებასა და გადახდაზე დახარჯული თანხები, რაც ასოციაციისათვის მის მიერ გაღებული ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის წყაროს წარმოადგენს.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია

ვალდებულია, მის წევრებს ყოველწლიურად წარუდგინოს საქმიანობის დეტალური ანგარიში, რომელიც იმავდროულად საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვისაც.

საავტორო უფლებათა ასოციაციაში როგორც გაწევრიანება, ასევე წევრობა უსასყიდლოა და არ იწვევს რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას.

### საავტორო უფლებების დარღვევა, კასუსისმგებლობა

საქართველოს კანონმდებლობით საავტორო ქონებრივი უფლებები დარღვეულად ითვლება, როდესაც ხდება ნაწარმოების გამოყენება ავტორის ნებართვისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, რომელიც არღვევს საავტორო კანონმდებლობის მოთხოვნებს ითვლება საავტორო უფლების დამრღვევად.



პირადი არაქონებრივი უფლება დარღვეულია როდესაც ნაწარმოების გამოყენებისას არ არის ან შეცდომითაა მითითებული ავტორის სახელი, ასევე, როდესაც ნაწარმოებებში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ავტორის ნებართვის გარეშე, ხდება ნაწარმოების დამახინჯება და სხვა.

არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კოლექტიური წესით არ ხორციელდება და ავტორს შეუძლია დაცვა განახორციელოს ან უშუალოდ, ან ისარგებლოს იურიდიული მომსახურებით, მათ შორის ასეთი მომსახურება მიიღოს ასოციაციისგანაც.

საავტორო უფლების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის  
სამართლის კოდექსი.

"საავტორო და მომიჯნევე უფლებების შესახებ"  
საქართველოს კანონის თანახმად საავტორო უფლების  
დამრღვევი ვალდებულია:

აღიაროს საავტორო უფლებები

უზრუნველყოს უფლების დარღვევამდე არსებული  
მდგომარეობის აღდგენა

აანაზღაუროს მიყენებული ზიანი მიუღებელი  
შემოსავლის ჩათვლით

ზიანის ანაზღაურების ნაცვლად დააბრუნოს  
დარღვევით მიღებული შემოსავალი



ზიანის ანაზღაურების ნაცვლად უზრუნველყოს კომპენსაციის გადახდა მისაღები თანხის არანაკლებ ათმაგი ოდენობით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საავტორო უფლებების დარღვევისათვის ითვალისწინებს ჯარიმას 500 დან 3 000 ლარამდე, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმა განისაზღვრება 3 000 დან 5 000 ლარამდე.

საავტორო უფლებების დარღვევისათვის ასევე გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი საავტორო უფლების დარღვევისათვის ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

## კოლექტიური მართვის ორგანიზაციის როლი საავტორო უფლებების დაცვისას

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს ყველა ჭმედება, რომელიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული საავტორო ქონებრივი უფლებების ჯეროვნად განხორციელებისა და დაცვისათვის. საავტორო უფლების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, დარღვევის სფეციფიკურობიდან გამომდინარე, ასოციაცია მიმართავს დამრღვევს დარღვევის აღკვეთის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, ზიანის ანაზღაურების ან კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით. ასოციაცია ეხმარება ავტორებს სადავო საკითხთა გადაჭრისთვის აუცილებელი, სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, აფასებს რისკებს, მოსალოდნელ შედეგებს, უწევს მათ შესაბამის კონსულტაციას და სასურველი შეთანხმების მიღწევის მიზნით აწარმოებს მოლაპარაკებებს.



საჭიროების შემთხვევაში ასოციაცია წარმოადგენს და იცავს ავტორს სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და აწარმოებს საქმეებს სასამართლოსა თუ არბიტრაჟში.

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციამ ასევე დანერგა საავტორო უფლებებთან დაკავშირებული იურიდიული მომსახურების პრაქტიკაც. ასოციაცია წარმოადგენს ავტორებს/საავტორო უფლების მფლობელებს მესამე პირებთან ურთიერთობაში და ხელს უწყობს მათ მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა ინდივიდუალურ საფუძველზე გამოყენებასა და დაცვაში, რა მიზნითაც მონაწილეობას იღებს მოლაპარაკებებში, უზრუნველყოფს გარიგების პირობების შემუშავებას და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებას. იურიდიული მომსახურება ასევე მოიცავს დოკუმენტაციის სამართლებრივ ანალიზს,

მათ დამუშავებას და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამართლებრივი დასკვნების და რეკომენდაციების მომზადებას, რჩევებს ხელშეკრულების შეცვლასთან, შეჩერებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ და საკანონმდებლო რეგულირების სხვა საკითხების შესახებ.

კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საავტორო უფლებების დაცვისა და განხორციელების სფეროში. საავტორო უფლებების კოლექტიური წესით მართვა უფრო მოხერხებული და ეფექტურია, როგორც ავტორის, ასევე მოსარგებლისათვის. მხარეები სასურველ შედეგს აღწევენ მნიშვნელოვანი ადამიანური, დროითი და ფინანსური რესურსის ეკონომიის ხარჯზე, რაც ერთი მხრივ ხელს უწყობს საავტორო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებას და დარღვევათა აღმოფხვრას, ხოლო მეორე მხრივ ინტელექტუალური



საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის  
დანერგვას.

## მარიგბულირბელი აძტიანი

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კანონი "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

"ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასახლდგრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონი

"ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ" ბერნის კონვენცია (რაციფიცირებული 1995 წელს)

"საავტორო უფლებების შესახებ" ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება (რაციფიცირებული 2002 წელს)

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებები საავტორო უფლებების შესახებ (WCT) (რაციფიცირებული 2002 წელს)

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის "ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ" (TRIPS) შეთანხმება (რაციფიცირებული 2000 წელს)